უფერული მატჩი

11 ივლისს ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და თბილისის “დინამოს” გუნდები. თბილისელი მაყურებელი მოელოდა, რომ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები, რომლებმაც წინა თამაშის დროს მოსკოვის “ტორპედოსთან” გვიჩვენეს მაღალი კლასის ტექნიკური, კოლექტიური თამაში, ამჯერადაც შეეცდებოდნენ მოეგოთ ეს მატჩი, მით უმეტეს, რომ ახლა მათთვის მნიშვნელობა აქვს თითოეულ ქულას.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თამაში დაიწყო ძალიან ნელი ტემპით და მეტწილად ცენტრში მიმდინარეობდა. თბილისელი თავდამსხმელები და განსაკუთრებით მათი ცენტრი არეშიძე მოედანზე დარბოდნენ უაზროდ, არც ერთი კომბინაცია არ გაუთამაშებიათ, მარტო გ. ჯეჯელავა გამოირჩეოდა მათში მოფიქრებული თამაშით. 30-ე წუთზე ჯეჯელავას მიერ ლამაზად წამოღებული ბურთი ღოღობერიძემ გაიტანა კიეველთა კარში. კიეველებმა პირველ ბურთს შეტევებით უპასუხეს და ტაიმის დასასრულ გაქვითეს ანგარიში.

მეორე ტაიმში მდგომარეობა არ შეცვლილა. მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებში გამოცოცხლდნენ თბილისელები და ჩაატარეს რამდენიმე მოფიქრებული კომბინაცია. მაგრამ კიეველებმა შესძლეს მათი მოგერიება და მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მსაჯი არხიპოვი ძალიან ხშირად მიმართავდა სასტვენს, ზოგჯერ მაშინაც, როცა ეს საჭირო არ იყო, მით უფრო ანელებდა ისედაც უფერულ მატჩს.

თბილისელებმა დაკარგეს ერთი დიდმნიშვნელოვანი ქულა, რითაც შეისუსტეს პირველ წრეში მეორე ადგილზე გამოსვლის შანსები.

“კომუნისტი”, 13 ივლისი, 1948 წ.